

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



მე-80 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

თემა: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
ჭავჭავაძეების კომპლექსი წინანდალში
წარსული და დღევანდელი

ფაკულტეტი: არქიტექტურის, ურბანისტიკისა
და დიზაინის ფაკულტეტი

ჯგუფი: სამრეწველო შენობების
ინტერიერი

მაგისტრანტი: გელაშვილი შოთა
კურსი: I

ხელმძღვანელი: მზია მილაშვილი
ირინა საბაშვილი

წინანდლის ჭავჭავაძეების საგვარეულო კომპლექსი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნო და განავითარო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტი ისე, რომ მის ისტორიულ თუ მხატვრულ-ესთეტიკურ მნიშვნელოვანებას ზიანი არ მიაყენო. პირიქით – აღადგინო შენობა-ნაგებობები, მოუარო უნიკალურ პარკს, შექმნა საინტერესო, მყუდრო, მომხიბვლელი გარემო, მოაწყო სამუზეუმო თუ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების ექსპოზიციები. ამით მიიზიდო და აზიარო მნახველები, უპირველეს ყოვლისა კი თანამემამულენი იმ ძვირფას ისტორიულ-კულტურულ გარემოს, რომელიც შენარჩუნდა და იმედია მომავალშიც ჭავჭავაძისეულ წინანდალში შენარჩუნდება და განვითარდება.

საბჭოთა პერიოდში წინანდლის ჭავჭავაძეების მამული ფუნქციონირებდა კომპლექსურად, როგორც: პარკი, მუზეუმი, ღვინის ქარხანა და აგრეთვე სამთავრობო რეზიდენცია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჭავჭავაძეების კომპლექსი რთულ ფიზიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. პარკიც და შენობებიც მოითხოვდნენ რეაბილიტაციას. სხვადასხვა მიზეზთა გამო მუზეუმის ექსპონატები და ჭავჭავაძისეული საგვარეულო ნივთები ნელ-ნელა იძარცვებოდა, იმდენად, რომ მუზეუმის თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ სამუზეუმო ექსპონატები ოჯახებში გადაენახათ. იმ პერიოდში სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფდა ამ მხატვრულ-ისტორიული კომპლექსის მოვლა-პატრონობას.

თანამედროვე დროს, როდესაც კანონმდებლობით დაშვებულ იქნა ძეგლების გასხვისება, სახელმწიფოს მიერ კომპლექსი გაიცა გრძელვადიან იჯარაში “სილქ როულ ჯგუფზე”, შესაბამისი ვალდებულებებით: ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება, ენოტეკის მოვლა-პატრონობა, ძეგლის ავთენტური სახის შენარჩუნება, საბადე-საპარკო ხელოვნების ძეგლის-ჭავჭავაძისეული პარკისა და მასზე განთავსებული ისტორიული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა და მართვა.

ხუთი წლის წინ დაიწყო და ეხლაც გეგმაზომიერად მიმდინარეობს ძეგლის რეაბილიტაცია-ადაპტაცია, რაც გამოიხატება: არსებული შენობების (სასახლე-მუზეუმი, სასტუმრო სახლი, მეურნეთა სახლი, ნაწილობრივ ღვინის ქარხანა) რესტავრაციაში, პარკის მწვანე ნარგავების მკურნალობა-განახლებაში, ბაღის ინფრასტრუქტურის მოწყობაში.

წინანდლის მამული XIX საუკუნის ქართული არისტოკრატიის თავშეყრის ადგილსა და კულტურის კერას წარმოადგენდა. აღ. ჭავჭავაძემ წინანდალში ფართო სამეურნეო საქმიანობაც წამოიწყო. მან დიდად შეუწყო ხელი მევენახეობის განვითარებას, ვაზის ახალი ჯიშებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

1830 წელს აღ. ჭავჭავაძემ წინანდალში სასახლე ააშენა, 1829 წ. კი მამულში წყალსადენი გაიყვანა. წინანდლის, მისი სასახლისა და ბაღის შესახებ არა ერთი ცნობა მოგვეპოვება სტუმრების მიერ გაკეთებული ჩანაწერების თანახმად, რომელიც ჩვენს დრომდე შემონახა, შესაძლებელია სასახლის შესახებ რამოდენიმე საყურადღებო ფაქტის დადგენა. “მისი სასახლე, რომლის მშენებლობაც უკვე დამთავრებული იყო, წერს ჟაკ ფრანსუა გამბა, წარმოადგენს ნამდვილ სასწაულს იმ მხარისათვის, სადაც საცხოვრებლის უმრავლესობა თიხითაა აშენებული. ჭავჭავაძის სასახლის შიდა განლაგება ევროპულ სტილზეა, გარე არქიტექტურა კი შეფერებულია აზიის კლიმატურ პირობებს. იმ მხარეში, სადაც სამი თვის განმავლობაში დგას აუტანელი სიცხე, არ შეიძლება ფართე აივნის გარეშე, რომელიც ზედა სართულის გასწვრივ გრძელდება”. „შენობის შინაგანი მორთულობა


ისეთივეა, როგორც ევროპულ სასახლეებში. ეზო ვრცელია. ბაღი ძალზე ღამაზ ადგილას, თითქმის 30 დესიატინის სიგრძეზეა გაშლილი. თავადის სურვილია აქ ინგლისური ყაიდის ყვავილნარი და ხეხილი გააშენოს“ (საქართველოში საფრანგეთის კონსულის – ა. გამბას მოგონებებიდან);

ჭავჭავაძეთა ბავშვების გამზრდელი ფრანგი ქალის, ანა დრანსეს მოგონებებიდან: „კენინამ წამიყვანა თავის საუცხოო ბაღში. შესანიშნავ ვაზის შუაგებს, უცვეთელას ფანჩატურებს და ძვირფას ხეხილს აღტაცებაში მოყვავდი. როგორც ბავშვი მივრბოდი ვარდიდან ბრიწეულთან, ბროწეულიდან ლიმონთან, ფორთოხალთან და სხვა ნარგავებთან . .“ (ბედინაშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ-ში, 1965).

ალ. ჭავჭავაძის სასახლე 1854 წელს შამილის რაზმებმა დაარბიეს და გადაწვეს.

1886 წელს წინანდლის მამული შეიძინა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა და მისი რეკონსტრუქცია წამოიწყო. ალ. ჭავჭავაძის დამწვარი სასახლის ადგილას აშენდა ახალი სასტუმრო სახლი (დღევანდელი სასახლე), აიგო საცხოვრებელი სახლები მეღვინეთათვის, მეაბრეშუმეებისათვის, მამულის მმართველისთვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ღვინის სარდაფების მშენებლობას, 1886-1887 წწ. აშენდა ორსართულიანი ღვინის სარდაფი-ქარხანა; გაიყვანეს ახალი წყალგადასაცვანი სისტემა.

სამშენებლო სამუშაოები არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვის პროექტით განხორციელდა.




ალექსანდრე გრიგოლის ძე ოზეროვი (1849 წელს დაიბადა მანგლისში). ოზეროვი XIX საუკუნის თბილისის მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. იგი მუშაობდა ჯერ საგუბერნიო სამმართველოს უმცროს არქიტექტორად, შემდეგ, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან – თბილისის ქალაქის არქიტექტორად. მას არა ერთი შენობა აქვს აშენებული თბილისში: ღვინის I ქარხანა მელიქიშვილის ქუჩაზე, 1894-96 წწ., დავით სარაჯიშვილის სახლი სიონის ქ-ზე, 1896 წ., თეატრალური ინსტიტუტის შენობა რუსთაველის პროსპექტზე, ძეგლი ფერერების სახლი, აღმაშენებლის პროსპექტი, № 121, 1910 წ., შემოსავლიანი სახლი ჭოროხის ქ-ზე, 1913 წ., სახლი № 2, შაუმიანის ქ-ზე, პუშკინის ქ. № 1 და ალ. სარაჯიშვილის სახლი კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩათა კუთხეში. „თავის თანამედროვეების მსგავსად ესეც ტიპიური

ეკლექტიკოსი იყო. მის ფასადებში „ირანულიც“ მოიძებნება, „მავრულიც“ რენესანსულ-ბაროკულიც“. აქვს ცალკეული ცდები ქართული ისტორიული მოტივების გამოყენებისა (ტაბიძის ქ. № 22). ოზეროვი მიმართავდა მოდერნსაც, მაგრამ ხშირად გოთური ელემენტებით აზავებდა მას. მისი ფასადები ხშირად თეთრი აგურითაა მოპირკეთებული, მორთულია საფეხურებიანი პარაპეტებით, გოთური „ფილისებრი“ კოშკურებით, ქვის აივნებით“ (ვ. ბერიძე, თბილისის არქიტექტურა 1801-1917 წწ., ტ. II, გვ. 176).

წინანდლის დღევანდელი არქიტექტურული კომპლექსი ძირითადად ალ. ოზეროვისეულ ჩანაფიქრს წარმოადგენს.

მამული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ანსამბლს აერთიანებს.



სასახლის გარდა აქ შემორჩენილია ძველი (შუა საუკუნეების) ეკლესიის ნაშთი, მოურავის სახლი, საინჟინრო ნაგებობები, მეღვინეებისა და მეაბრეშუმეების სახლები, ღვინის ქარხანა. მოგვიანებით საბჭოთა პერიოდში მამულის ტერიტორიაზე კომპლექსს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და იმავდროულად მოხდა მისი ადაპტაცია – აშენდა სამთავრობო რეზიდენციის შენობა – ეგრეთ წოდებული სასტუმრო სახლი საკონფერენციო დარბაზითა და რესტორნით, რომელთა ავტორი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩარევა იმ დროისთვის მეტად კორექტულად განხორციელდა, არ ამოვარდა ისტორიული კომპლექსის საერთო არქიტექტურული ანსამბლიდან. ავტორმა შენობა მაქსიმალურად მიუსადაგა არსებულ გარემოს როგორც პარამეტრებით, ასევე არქიტექტურულ-მხატვრული იერ-სახით. რესტორნის შენობა ნახევრად მიწაშია განთავსებული. გადახურვა მოწყობილია დარბაზული ტიპის შენობისთვის დამახასიათებელი გადახურვით, რაც ინტერიერში შესაბამის გარემოს და განწყობას ქმნის. მიმდინარე პერიოდში მოხდა ამ შენობების რეაბილიტაცია. ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, შენარჩუნდა არსებული ფუნქცია – სასტუმრო სახლი.

ტაძარი



მეურნეთა სახლი



სასტუმრო სახლი





სასახლე




1886-87 წლებში, წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის დამწვარი სასახლის ნაცვლად, არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვის პროექტით აშენდა ახალი (დღევანდელი) სასახლე – სასტუმრო სახლი.

ჭავჭავაძისეული, ძველი სასახლის ნაშთები წინანდალში აღარ შემორჩა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ალ. ოზეროვის ნაგებობაში მეტ-ნაკლებად აისახა მისი ზოგადი იერი.

დღევანდელი სასახლის შენობა ორსართულიანია, აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით ნაგები. არქიტექტორმა ალ. ოზეროვმა სასახლის ფასადების მხატვრული გაფორმებისთვის, ისევე როგორც წინანდლის მამულის სხვა ნაგებობების შემთხვევაში, მხატვრულად გადაამუშავა კახეთის რეგიონისთვის

დამახასიათებელი სამშენებლო ტრადიცია – რიყის ქვისა და აგურის მონაცვლეობით შექმნილი კედლის წყობა. აღ. ოზეროვთან ამ ხერხმა უფრო მწყობრი, რეგულარული სახე მიიღო, რაც უმთავრესად გაპირობებულია აგურის რეგულარულად დატანილი სარტყლებისა და გათლილი რიყის ქვის ბრტყლად დადებული სიბრტყეების მონაცვლეობით. რიყის ქვის ზედაპირზე აგურის სხვადასხვა წყობის რიგები (კარნიზი, საპირეები, სარტყლები) თავისებურ მხატვრულ ეფექტს ქმნის.



სასახლის ძირითადი კორპუსი ორსართულიანია, ცენტრში სამსართულიანი რიზალიტით და მის მარჯვენა მხარეს ხის ჭვირული აივნით, რომელიც გვერდით ფასადზეც გრძელდება. სახლის მარჯვენა ნაწილს ზემოდან ნახევარსართული ადგას, რის გამოც იგი მარცხენა ფლიგელზე მაღალია. ნაგებობის ცალკეულ ნაწილთა განსხვავებული სიმაღლე და აივნის მხოლოდ სახლის მარჯვენა ფასადზე არსებობა საუფასადო კომპოზიციის ასიმეტრიულობას განაპირობებს.

ფასადის ცენტრალურ ნაწილში სამსართულიანი, შვერილი, რიზალიტის I სართულზე წინფრით დაფარული შესასვლელი კარია განთავსებული, მის თავზე დიდი – შეისრული სარკმელი.




ხის, ჭვირული ფართო აივანი ქვის, სწორკუთხა სვეტების რიგზეა დაყრდნობილი. აივნის მოაჯირებისა და აფრების ჭვირული კვეთა საკმაოდ სტილიზებულ აღმოსავლურ (მაგრიტანულ) მოტივებზეა აგებული.


სასახლის ფასადის ორივე სართული დანაწევრებულია სარკმელთა ღიობებით. მათი მოხაზულობა უმეტესად სამკუთხაა, ზოგან შეისრული (რიზალიტის სარკმელი), ან სწორკუთხა ფორმისაა (ძირითადად I სართულზე). სარკმლები ჩასმულია აგურის პროფილირებულ საპირეებში. ალათების ნახატი მრავალნაწილიანია.

შენობის გვერდითი ფასადები იდენტური ხერხითაა დამუშავებული.





ამავე მხარეს სასახლეს გვერდითი შესასავლელი აქვს, რომელიც გარედან საფასადო კედლის მგავსად თეთრად იყო გაღვნილი. კარის თავზე ლითონის წინფრაა ჭედურ კრონშტეინებზე, II სართულზე – შეწყვილებული, სწორკუთხა სარკმლები. შესასავლელის შიგნით II სართულზე ასასვლელი ხის, ძველი კიბეა.



სასახლის შენობა არსებითად თავდაპირველი სახითაა შემონახული, თუმცა ვერ გადაურჩა გარკვეულ გადაკეთებას, რაც ძირითადად უკანა ფასადს შეეხო. ამ მხრიდან უკვე საბჭოთა პერიოდში მას მიუმატეს გრძელი, სწორკუთხა მინაშენი სამუზეუმო ექსპოზიციისთვის.



მართალია ამ მინაშენის კედლის ფაქტურა მისადაგებულია სასახლის კედლის წყობასთან, მაგრამ სხვა მხრივ ის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას არ წარმოადგენდა და უშლიდა სასახლის უკანა ფასადის აღქმას. რეაბილიტაციის პროცესში ჩაითვადა, რომ ამ მინაშენის მოშორება უმჯობესი იქნებოდა ძეგლის სრულფასოვანი წარმოჩენისათვის, რაც ნაწილობრივ განხორციელდა რეკონსტრუქციის დროს.



ამ მინაშენის ქვეშ მოყოლილია ძველი სარდაფის ნაწილები.



2008 წელს ჩატარებულმა რეკონსტრუქციამ (რესტავრატორთა ჯგუფი – შპს „რესტავრატორები და კომპანია“, ხოლო ადაპტაციის სამუშაოების ავტორია დავით ქორქია) კი მთლიანად შეცვალა შენობის ისტორია. ყველაზე მნიშვნელოვანი, კი რაც განახლებული მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი სიახლეა, ნაგებობის პირველი სართულია. ფაქტიურად წლების განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილი ეს ნაწილი, მხოლოდ მუზეუმისთვის დამხმარე ფართს წარმოადგენდა. მუზეუმის ფონდისთვის განკუთვნილი რამოდენიმე ოთახი მის ფუნქციას ვერ აკმაყოფილებდა და ფართის დიდი ნაწილი სწორედ გამოუყენებელი რჩებოდა. კვლევითმა სამუშაოებმა კი დააზუსტეს არამარტო მისი თარიღი, არამედ შექმნეს მისი ფუნქციური დატვირთვის აუცილებლობაც. I სართულის ცენტრალურ ნაწილში (ისევე როგორც შესაბამისი II სართული) და მუზეუმის უკანა ფასადზე, რომელიც უსახური საბჭოთა მინაშენის სახით იყო წარმოდგენილი, აღექსანდრე ჭავჭავაძის თავდაპირველი სასახლის კვალი აღმოჩნდა, რომელიც ჩართული იყო 1886-87 წლების ოზეროვისეული სასახლის სტრუქტურაში. პირველმა სართულმა მუზეუმის დამხმარე ფუნქციური დატვირთვა მიიღო, სადაც ოთახი-ექსპონატი განთავსდა შამილისდროინდელი გადამწვარი სასახლის ნაშთით.


ფუნქციურად გამრავალფეროვნდა აქამდე მინაშენად ცნობილი მუზეუმის უკანა ფასადიც. ეს მონაკვეთი, ქრონოლოგიურად სასახლის ერთ-ერთი ძველი ნაწილი აღმოჩნდა, რომლის რეკონსტრუქციაც მისი პირველადი ფორმის გათვალისწინებით განხორციელდა. ამის საშუალება კი საბჭოთა პერიოდში ამოქოლილმა თაღებმა შექმნა.

თაღებით გახსნილი ღია გალერეა, საზაფხულო ფართის ფუნქციას ასრულებს და ადაპტირებულია როგორც ბაღის გარემოში, ასევე შენობის იერ-სახესთან. ფაქტიურად გააქტიურდა აქამდე “პასიური” მუზეუმის ფასადებიც და შენობა გარშემოვლადი გახდა, რითაც მას ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია – სხვადასხვა ხედვის წერტილიდან აღქმადობა დაუბრუნდა.

სასახლის მთავარი ფასადი ავთენტური სახითაა დარჩენილი, რასაც ძველი ფოტოსურათებიც ადასტურებს. ამ ფოტოებზე კარგად ჩანს სასახლის მთავარი და მარჯვენა გვერდითი ფასადი, ხის აივანი. დღევანდელისგან მხოლოდ შესასვლელი განსხვავდება, რომელს წინფრას თავის დროზე ფარდა ჰქონია.



სასახლის ინტერიერი



I და II სართულების გეგმა

მთავარი შესასვლელიდან სადარბაზოში შევდივართ. სადარბაზოს ორმარშიანი ფართო ხის კიბით ავდივართ II სართულზე. კიბე მასიურია, მსხვილად ნაკვეთი ორნამენტული მოაჯირით, ეყრდნობა ხისსავე კვეთილ სვეტებს. კიბე ავთენტურია.



სადარბაზოს I სართულის იატაკი ქვის მოზაიკური ფილებითაა დაგებული. ერთ კედელზე ბუსარია. კედლებზე შეკიდულია თუჯის შუქფარნები. სადარბაზოს განსაკუთრებულ სახეიმო იერს ანიჭებს შესასვლელის თავზე არსებული დიდი შეისრული სარკმელი.

სასახლის I სართულზე ძირითადად დამხმარე (მსახურთათვის, სამზარეულო, სამრეცხაო და სხვა) ოთახები იყო განლაგებული. რეაბილიტაციის შემდეგ ამ სართულზე განთავსდა ღვინის საპრეზერვაციო დარბაზი, სუვენირების გამოფენა-გაყიდვის დარბაზი, ბუფეტი.



რეაბილიტაციამდე



რეაბილიტაციამდე



სუვენირების გასაყიდი სათავსოები



II სართულზე განთავსებულია საცხოვრებელი ოთახები, სასტუმრო დარბაზები, სამუშაო კაბინეტი და საძინებლები.

სადარბაზოს ხის კიბე ადის II სართულის მცირე ბაქანზე, რომელზეც შიდა ოთახებში შესასვლელი სამი კარი გამოდის.

ოთახების გეგმარება შენარჩუნებულია, ისევე როგორც ძველი ღიობები, ხის იატაკი, ნაღესი კარნიზები, ბუხრები და კედლის ღუმელები. აღმოჩენები სასახლის II სართულზეც მოხდა: დიდ მისაღებ ოთახში, ასევე ალექსანდრესელი პირვანდელი სასახლის ნაშთი აღმოჩნდა, რომლის კონსერვაციამაც მისი ავთენტური ფორმა შეუნარჩუნა. ფაქტიურად სასახლის ძველი მონაკვეთი, მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილი გახდა, რითაც შენობის ისტორიამ და თარიღმა უკან გადაინაცვლა.

გარკვეული სიახლეები შეესო შენობის შიდა გეგმარებას. მოიხსნა გვიანი პერიოდის ტიხრები, აიყარა საბჭოთა ხანის პარკეტი, რომლის ქვეშაც ოზეროვის დროინდელი ხის იატაკი გამოჩნდა. რესტავრაცია ჩაუტარდა კარ-ფანჯრებს, დამონტაჟდა საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების შესაფერისი განათება, გათბობა/ტემპერატურული რეჟიმი, დაცვის სისტემა და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასახლის მოჭიქული კედლის ღუმელები, რომლებიც ასევე თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი თუმცა რეკონსტრუქციის დროს მოხდა დაზიანებული ადგილების აღდგენა.



სასახლის ინტერიერისთვის სრულიად შეუფერებელი საბჭოთა პერიოდის შპალერი მოიხსნა, რომლის ქვეშაც შემორჩენილი ძველი შპალერის ნიმუშები აღმოჩნდა. რეკონსტრუქციის დროს ეს ნიმუშები ახალი შპალერისთვის გამოიყენეს.



ძველი შპალერის ნიმუში დარბაზში



ძველი შპალერის ნიმუში საძინებელში

მოლიანად განახლდა მუზეუმის ინტერიერი: ყველა ღირებულ ექსპონატს ჩაუტარდა რესტავრაცია და მუზეუმში თემატურად განთავსდა. ეპოქასთან შესაბამისობაში მოვიდა ინტერიერის ტექსტილი, რომელიც “Victoria & Albert”-ის მუზეუმის ფონდებში დაცულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით დამზადდა.

სასახლის სარესტავრაციო სამუშაოები დიდი სიფრთხილითა და სასახლის ავთენტური იერის სრული დაცვით მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ არქიტექტორ-რესტავრატორმა ალ. ოზეროვმა 1886-87 წლებში, სასახლის რეკონსტრუქციისას, კორექტული მინიშნება გააკეთა სასახლის ძველ ფენაზე, რითაც გადაამწვარი სასახლის ნაშთი, ჰარმონიულად ჩართო ახალი სასახლის სტრუქტურაში. ახლად ჩატარებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა, პროექტზე მომუშავე არქიტექტორ-რესტავრატორების ძალისხმევით კი შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ სასახლის განახლება, არამედ მისი ისტორიის აღდგენა და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მხარეების გამოკვეთა.



სასახლეში კვლავ ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი განთავსდა.

მიუხედავად სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას სიძველეთა მიმართ ფრთხილი დამოკიდებულებისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამუზეუმო სივრცეში, მეტადრე მეორე სართულის დარბაზების ინტერიერში, შეუსაბამოდაა მოწყობილი ჭერები. გასაგებია, რომ ეს გამოწვეულია დარბაზების საექსპოზიციო სივრცედ გამოყენების ფუნქციიდან გამომდინარე, თუმცა შესაძლებელია სამომავლოდ გამოინახოს ჭერების შესრულების უკეთესი, თანამედროვე და იმავდროულად არსებული ინტერიერის შესატყვისი გადაწყვეტები.



წინანდლის პარკი

ჭავჭავაძეების საგვარეულო პარკს წინანდალში, რომელსაც თავის დროზე თვითმხილველები განცვიფრებაში მოჰყავდა და რომელიც დღესაც სასახლის ლანდშაპტური განაშენიანების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება, საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი ისტორია აქვს.

ცნობილია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი კარმიდამო და გემოვნებით აგებული „ედემის სადარი“ პარკი ნამდვილ სავანედ აქცია. რომელიც თავისი სილამაზით ტოლს არ უდებდა არა მხოლოდ იმპერიის ფარგლებში არსებულ, ბევრ ევროპულ პარკებსაც კი. საუბრობენ იმაზე, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა იგი თავის დროზე საზოგადოებაზე და ამის დამადასტურებლად მოჰყავთ თვითმხილველთა შთაბეჭდილებებიდან ციტატები: საფრანგეთის ელჩი **შევალიე გამბა** წინანდლის პარკს „ნამდვილ სასწაულს“ უწოდებდა. „არნახულ წაღკოტად“ და „ედემის ბაღად“ მოიხსენიებდნენ **ალექსანდრე დიუმა, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ლაიოლი, ანა დრანსე, ასტაფიევი** და სხვანი. ალ. დიუმა იგონებს: „წინანდალი იენისის თევში ფერიების სასახლე გეგონებოდათ: აქ ერთმანეთში არეულია ყვავილები, ყურძენი, ბროწეული, ლიმონი, ნარინჯი, ცხრატყავა, ვარდები, მცენარე და ხილი ერთდროულად ყვავის, იფურჩქნება და მწიფდება. ჰაერი გაუღენთილია მრავალი, ერთმანეთში არეული სურნელით – ნამდვილი „ედემის ბაღია“.

თუ ლიტერატურაში ალექსანდრესეული პარკის შესახებ ცნობები ასე თუ ისე მოიპოვება, არსებობს დაუსაბუთებელი, სავარაუდო აზრი ამ ადგილზე უფრო ადრინდელი პარკის ფენის არსებობის შესახებ. რომელიც XVIII ს-ის ბოლოს, გარსევან ჭავჭავაძის მიერ უნდა ყოფილიყო გაშენებული. ამ ვარაუდის საფუძველს პარკში დღემდე შემორჩენილი, ასაკის მიხედვით დადგენილი უძველესი ხის ნიმუშები იძლევა. ისტორიულად ცნობილია, რომ წმინდა ევროპული სახე ბაღს ალ. ჭავჭავაძემ მისცა. მაგრამ იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ევროპული ბაღის სისტემის რაღაც ელემენტები ბაღის უკვე პირველ ყოფილ სახეშიც შეინიშნებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო პირველი ადამიანი საქართველოში, ვინც გააშენა ევროპული სტილის

დეკორატიული პარკი და ამით ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა პარკების მშენებლობის ხელოვნების განვითარებას საქართველოში.

სამწუხაროდ ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან ათიოდე წლის შემდეგ, 1854 წელს, როდესაც ჭავჭავაძეების მამულს შამილის რაზმი შემოესია, ალექსანდრეს მიერ გაშენებული პარკი თითქმის მთლიანად განადგურებულ იქნა, ისევე როგორც სასახლე. მამულის აღსადგენად, როგორც ცნობილია, დავით ჭავჭავაძეს საკმარისი სახსრები არ გააჩნდა. ეს შესაძლებელი გახდა მოგვიანებით, 1880-იან წლებში, როდესაც ჭავჭავაძეების საგვარეულო მამული უკვე საუფლისწულო დეპარტამენტის მფლობელობაში იყო გადასული და, შესაბამისად, სტატუსიც შეცვლილი ჰქონდა.

ჭავჭავაძეების საგვარეულო მამულის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის მიზნით სხვადასხვა დროს პეტერბურგიდან მოწვეული იყვნენ არქიტექტორები: **ნიკოლი, ვერცი, შტერნი.**

1886-1887 წლებში, როდესაც მოხდა სასახლის აღდგენა ოზეროვის მიერ, პარკიც სწორედ ამ პერიოდში განახლდა. 1887-1888 წლებში პარკის აღსადგენად მოიწვიეს პეტერბურგში მოღვაწე ცნობილი ფრანგი პეიზაჟისტი-დეკორატიორი **არნოლდ რეგელი** (1846-1917). ჩვენამდე მოღწეული პარკი სწორედ **არნოლდ რეგელის** პროექტის მიხედვით იქნა გაშენებული. მას დიდი გამოცდილება ჰქონდა როგორც პეიზაჟისტი-არქიტექტორს. იგი პოპულარული იყო არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში, მის ფარგლებს გარეთაც. რეგელის პროექტის მიხედვით არაერთი მნიშვნელოვანი ბაღი შეიქმნა რუსეთსა თუ ევროპაში. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის დავალებით არნოლდ რეგელი ორჯერ ჩავიდა წინანდალში ადგილმდებარეობის გასაცნობად, პარკის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად. რის შემდეგმაც მან ორი პროექტი შეადგინა. ერთ მათგანს წმინდა მხატვრული დატვირთვა ჰქონდა, მეორე კი ატარებდა-ლანდშაფტური ადგილმდებარეობის და ბუნებრივი პირობების ანალიზის შინაარსს. ცალკე შეადგინა დენდროლოგიური პროექტი, ხარჯაღრიცხვა და მცენარეთა სიები. ამასთანავე, შეკრიბა ცნობები კავკასიაში ყირიმსა და ოდესაში წინანდლისათვის საჭირო მცენარეების შესახებ.

ყოველივე ამის შემდეგმაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პარკი გერმანელ დეკორატიორს **კარლ ბრენერს** გაეშენებინა. არნოლდ რეგელის მიერ დაპროექტებულმა და კარლ ბრენერის მიერ გაშენებულმა პარკმა დროთა განმავლობაში ბევრი ცვლილება განიცადა. იცვლებოდა როგორც ცალკეული დეკორატიული ელემენტები, ასევე ხდებოდა ძველი მცენარეების ახლით ჩანაცვლებაც. მაგრამ პარკმა დღემდე შეინარჩუნა გენგემის ძირითადი კონსტრუქციული სქემა, ისევე, როგორც შენარჩუნებულ იქნა თავის დროზე საუფლისწულო დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა ქალაქებში შექმნილი სხვადასხვა წარმომავლობის (ადმოსავლური, ხმელთაშუა ზღვისპირეთის, ავსტრალიური, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკული) მცენარეთა ჯიშების ნაირსახეობა. მცენარეები უმთავრესად გამოწერილი იყო სოხუმის, ოდესის, პეტერბურგის, იალტის, რიგის, გერმანიისა და სხვა საფირმო საწარმოებიდან.

ბაღში აკლიმატიზებულია საინტერესო მერქნიანი ჯიშების 450-მდე სახეობა. 1500-ზე მეტი ეგზოტიკური წარმოშობისაა. პარკში მხატვრული პეიზაჟის მისაღებად გამოყენებულია როგორც ერთეული, ასევე ჯგუფური ნარგავობა – შემდგარი ადგილობრივი ან ეგზოტიკური წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშებისგან. გარდა ამისა თავმოყრილია ფერადი და სურნელოვანი ყვავილები, დიდი თავისუფალი გაზონები, გამჭვირვალე და მუქი მასივები, რომლებიც აძლიერებენ როგორც ჰაეროვან, ასევე

საზოგადოებრივი პერსპექტივის ეფექტს. მთლიანად პარკი ნაგებობისა და სანერგის ჩათვლით, 12 ჰექტრამდეა გადაჭიმული.

პარკს შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. დასავლეთის მხარეს კისისხევის ხევი ესაზღვრება. ამ მხარეს ბაღის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია კარის ეკლესიის ნანგრევები. ისტორიული ცაცხვის ხე, რომელშიც გადმოცემის თანახმად, დავით ჭავჭავაძეს ერთ-ერთ ქალიშვილს შამილის შემოსევის დროს თავი შეუფარებია და ამავე მხარეს იყო გარსევან ჭავჭავაძის სახლიც, რომელიც XX ს-ის 60-იან წლებში დაანგრევს. რაც შეეხება პარკის აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებს, რომელსაც მოსახლეობა ემიჯნება, ეს ნაწილი გალავნით არის შემოსაზღვრული. ღვინის სარდაფი და ორსართულიანი ღვინის ქარხნის ნაგებობა ბაღის ტერიტორიაზე უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ დეკორატიული მებაღეობა ლანდშაფტური ხუროთმოძღვრების მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც XVII–XVIII საუკუნეებში ძალზედ პოპულარული გახდა დასავლეთ ევროპაში და რომელიც გამოყენებითი ხელოვნების სფეროს მიეკუთვნება და დაფუძნებულია როგორც ბიოლოგიურ, ასევე ბევრ სხვა მომიჯნავე მეცნიერებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დეკორატიული მებაღეობის ხელოვნება გულისხმობს ფართობისა და სივრცის მხატვრულ-არქიტექტურული და უტილიტარული ორგანიზაციის თავისებურ სინთეზს.



სპეციალისტების აზრით წინანდლის პარკის შექმნისას გამოყენებულია ლანდშაფტური საბაღო ხელოვნების ძირითადი პრინციპები – კომპოზიციის ელემენტების თანაზომიერება-წონასწორობა, პერსპექტივა, ფორმათა შეპირისპირება,

კოლორიტი, კონტრასტები და სხვა. ამ უკანასკნელს პარკის პეიზაჟურ გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. არანაკლებ მნიშვნელოვანია სივრცობრივი ამოცანის გადაჭრაც. პარკის დაგეგმარების სივრცობრივ-მოცულობით გადაწყვეტაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მნახველთა მოძრაობის ორგანიზაციის საკითხს. წინანდლის პარკში ეს საკითხი ისეა გადაჭრილი, რომ მნახველთა მოძრაობისას შთაბეჭდილება კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, ძლიერდება. შთაბეჭდილების ეს განცდა მიღწეულია პარკის დაგეგმარებაში გამოყენებული კონტრასტებისა და ჰარმონიის უფაქიზესი ნიუანსების წყალობით, რითაც უდიდესი მხატვრული ეფექტია შექმნილი. აქედან გამომდინარე, ბაღში არსად არ არის ერთფეროვანი, მოსაწყენი პეიზაჟური მოტივები გამოყენებული. მხატვრული ეფექტი პირველ რიგში მიღწეულია წიწვოვანი და ფოთოლმცვენი ჯიშების ერთმანეთში შერევით, რომელთა შეხამება, სპეციალისტების აზრით, მეტად რთულია და პარკმშენებლებისაგან დიდ მხატვრულ გემოვნებას მოითხოვს. გარდა ამ კონტრასტული შეხამებით გამოწვეული შთაბეჭდილებისა, მხატვრული ეფექტი შექმნილია ფერის საშუალებითაც. მაგ: გასაოცარ ფერადოვან ეფექტს ქმნის წიწვოვან მცენარეთა ნაირსახეობა – დაწყებული მწვანე ფერის სხვადასხვა გრადაციით, უჩვეულო შეფერილობის, კერძოდ მოვეცხლისფრო ტონალობით დამთავრებული. ეს ყოველივე ცხოველხატულ იერს იძენს ფოთოლმცვენი (ცაცხვი, მუხა, მუხუდო და სხვა) და მათ შორის ეგზოტიკური მცენარეების გვერდით, როგორცაა მაგნოლია და ბამბუკი.

კლასიკური გაგებით ბაღის დეკორატიული განაშენიანების კულმინაციას წარმოადგენს მუზეუმის წინამდებარე ტერიტორია მრგვალი ფორმის აუზითა და შადრევანით, რომელსაც რეგელისეული დაგეგმარების მიხედვით ოდნავ განსხვავებული სახე ჰქონდა და შესასვლელიდან მარცხენივ მიმდებარე ტერიტორია, სადაც გაშენებულია მარადმწვანე ბზის წრიულ ხაზებად განლაგებული ლაბირინთული დეკორატიული მოტივი ცენტრალურ ნაწილში აღმართული მრგვალი ფორმის მცენარეული ფანჩატური-ქოხით. რასაც აღმოსავლეთით აგვირგვინებს ე.წ. „სიყვარულის ხეივანი“.

ყველაზე მეტად, ალბათ, ბაღის ეს ნაწილი უახლოვდება ევროპული პარკებისთვის დამახასიათებელ განაშენიანების მხატვრულ სტილს. თითოეული ხის ტოტის თუ ფოთლის მდგომარეობა ბაღის სივრცის გათვალისწინებით არის დეკორატიულად გაანგარიშებული, როგორცაა, მაგალითად ანდრე ლენოტრის სასახლის პარკი მოლვეიკონტში, ან ჟიულ არდუენ მანსარის სამეფო სასახლე ვერსალში, ანდა იმავე კამერონის, კვარენგისა და რასტრელის პარკები. მათგან განსხვავებით, წინანდლის ბაღის თავისებურება გამოიხატება არა მხოლოდ ადამიანური ხელთქმნილობით შექმნილი სივრცის წინასწარ გათვლილ წყობაში და განლაგებაში, არამედ უფრო დეკორატივიზმისა და ველური ბუნებრივობის სინთეზში. მართალია ბაღის გარკვეული ადგილები, როგორც უკვე აღინიშნა, სივრცის მოწყობის დეკორატიულ დაპროექტებას ექვემდებარება, განსაკუთრებით ზემოთხსენებული ადგილებია გეგმაზომიერად ორგანიზებული, მაგრამ მთლიანობაში ბაღი სხვადასხვა მცენარეებით გაშენებულ, ერთი შეხედვით თავის (ბუნების) ნებაზე მიშვებულ ტყესავით აღიქმება. რაც იმას ნიშნავს, რომ ბაღი უფრო თავისუფალი ანუ ლანდშაფტური დაგეგმარების პრინციპითაა გაშენებული.

დღეს იმის თქმა ძნელია ავტორმა შეგნებულად აარიდა თავი მთლიანი პარკის დაპროექტების ევროპულ ამოცანას, თუ ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გამო აქ მიზანშეწონილად არ ჩათვალა მთელი სივრცის დეკორატიულად დაგეგმვა-

მოწესრიგება. ისიც შეიძლება, რომ ბაღის მშენებლებმა გაითვალისწინეს ადგილმდებარეობა, ბაღის მასშტაბები, სასახლის არქიტექტურული გადაწყვეტა, სასახლის პროვინციაში მდებარეობა და არც თუ ისე ხალხმრავალი საზოგადოებრივი შეკრებების გამო, საჭიროდ არ მიიჩნიეს ბევრი დეკორატიული გზით თუ ბილიკით სივრცის გახსნილობის შექმნა.




მსგავსი ვარაუდები უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ლანდშაფტური პეიზაჟური სივრცის ორგანიზების თვალსაზრისით წინანდლის პარკი ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული. რაც უდავოდ მეტყველებს პროექტის ავტორის **არნოლდ რეგელისა** და აგრეთვე დეკორატორ კარლ ბრენერის დახვეწილ გემოვნებაზე და მაღალ პროფესიონალიზმზე.

როგორც აღინიშნა არქიტექტურული ნაგებობა არც ისე მცირეა პარკში. აქედან აღსანიშნავია ღვინის ქარხანა, რომელიც 1886-1987 წლებში, ალ. ჭავჭავაძის ღვინის მარნის ბაზაზე აიგო. იგი ორსართულიანი, 150 ათას ვედროიანი ტევადობის ღვინის ქარხნის პირველი ნაგებობაა საქართველოში. ისტორიული მოკვლევების მიხედვით კომპლექსის შემადგენელი ნაწილის – ისტორიული ღვინის მარნების განაშენიანება შეიცავს სამ პერიოდს:

- 1) ისტორიული შენობა-ნაგებობები, რომელიც გაშენებულია 1886 წელს, რომელზედაც განხორციელდა რეკონსტრუქცია XX საუკუნის მეორე ნახევარში;
- 2) ისტორიული შენობა-ნაგებობები, რომლებიც გაშენებულია მე-XX საუკუნის 60-იან წლებში;
- 3) შენობა-ნაგებობები, რომლებიც გაშენებულია მე-XX საუკუნის 70-იან წლებში.


ისტორიული შენობა-ნაგებობები წარმოადგენენ ორდონიან ღვინის თაღოვან სარდაფებს. კედლები აგებულია იმ დროისთვის გავრცელებული საშუალო სიმტკიცის კირის დუღაბზე აგურის ჩანართებით, ყორე ქვის წყობით, ხოლო ფასადზე გამოყენებულია საპირე, ნათალი ქვა, რომლებიც გადაბმულია დაახლოებით ყოველ 70-80 სანტიმეტრში მოწყობილი სამი რიგი აგურის წყობით, ღვინის სარდაფის მიწისზედა სართულები გადახურულია ორქანობიანი სახურავებით, რომელიც განხორციელებულია ხის კონსტრუქციებში.



დღეს-დღეობით წინანდალში ღვინის ქარხანასთან ახალი რედისონი აშენდება. პროექტი კომპანია „ჯონ ფორტიადსიმა“, „სილქ როუდ ჯგუფის“ დაკვეთით შექმნა. პროექტის მთავარი იდეა ისტორიულ ძველ კომპლექსთან თანამედროვე ელემენტების შერწყმაა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამშენებლო ადგილი არ მიეკუთვნება ჭავჭავაძეების კომპლექსის ისტორიულ ნაწილს, იგი მდებარეობს კომპლექსის გვერდით, ღვინის მარნებთან ახლოს. სწორედ არქიტექტორისთვის შთაგონების წყარო ღვინის მარანი გახდა. მოეწყო 15 მეტრიანი მიწისქვეშა დერეფანი, რომლითაც სასტუმრო წინანდლის ღვინის ქარხანას დაუკავშირდება. პროექტი 100 ნომრიან სასტუმროს აშენებასა და ღვინის ქარხნის რესტავრაცია-ადაპტაციას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით ღვინის ქარხანას პირვანდელი სახე დაუბრუნდება. აგრეთვე მასში საკონფერენციო დარბაზი, რესტორანი, სადეგუსტაციო დარბაზი და სხვა სათავსოები მოეწყო.

წინანდლის “რედისონს” ექნება ღია ტერასები და აივნები, ექსკლუზიური ინტერიერის მქონე ოთახები და მისაღები, ასევე საკუთარი ავტოსადგომი. შენობის თავზე განთავსდება აუზი და 1000 კვადრატული მეტრის ტერასა. სასტუმროს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების მოხვედრა განხორციელდება ინდივიდუალური გზის საშუალებით. ამდენად, პარკის შიდა ტერიტორიასთან, გარდა სასეირნო ბილიკებისა, შეხება არ ექნება.

სასტუმროს შენობა, თავისი მასშტაბით, პარამეტრებით შეიძლება ითქვას, რომ არ იქნება ამოვარდნილი საერთო კონტექსტიდან, მაგრამ მისი არქიტექტურულ-მხატვრული იერ-სახე დახვეწას მოითხოვს.



თანამედროვე მსოფლიოში უამრავი მაგალითი არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე თანამედროვე ელემენტების შერწყმის. მაგალითისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს ლუვრის სასახლეში ცნობილი პირამიდის შენობა, ასევე გერმანიის პარლამენტზე თანამედროვე მინის გუმბათის აღმართვა. ასეთმა ტიპის სამუშაოებმა იმ დროისთვის მოსახლეობის აზროვნებაში ძნელად ჰპოვა ადაპტირება, თუმცა დღეს დღეობით აღნიშნული ობიექტები ქვეყნის სიმბოლოებადაც კი იქცნენ.

იმედია, რეკონსტრუქცია-ადაპტირების დასრულების შემდეგ, წინანდლის კომპლექსი გაიზიარებს აღნიშნული ძეგლების ბედს და იქცევა ადგილობრივი და ჩამოსული მნახველებისა თუ დამსვენებლებისთვის, როგორც უსაყვარლეს ადგილად ასევე საქართველოსთან ასოცირებულ ერთ-ერთ სიმბოლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები

1. ლ. ანდრონიკაშვილი, წინანდალი, ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა – 2008 წ.;
2. ბედინაშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ-ში, 1965;
3. ვ. ბერიძე, თბილისის არქიტექტურა 1801-1917 წწ., ტ. II, გვ. 176;
4. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დაცული:
 - ჭავჭავაძეების სასახლე წინანდალში. რეაბილიტაციის პროექტი, 2008 წ.
 - წინანდლის პარკის კვლევითი სამუშაოების პროექტი, 2009 წ.
 - სახლი №2 და №3-ის რეაბილიტაციის პროექტი, 2010 წ.
 - წინანდლის ღვინის ქარხნის კვლევითი სამუშაოების პროექტი – 2012 წ.
5. არქიტექტორ ირ. საბაშვილის ფოტოარქივის ფოტოები 2008–2012 წწ.
6. სასტუმრო 100 ნომერზე, საპროექტო წინადადება, კომპანია „ჯონ ფორტიადისი“, შპს „წინანდალი“, 2012 წ.